თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 28 დეკემბრის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 23

ქ. თერჯოლა 28 დეკემბერი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემური ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალი ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. დავით გოგბერაშვილი, 16. ტარიელ ფანჩულიძე, 17. რუსუდან კოვზირიძე, 18. როლანდი მესხი

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1ამირან ვერულაშვილი, 2. ნინო მახათაძე, 3. შალვა ჭანკვეტაძე, 4. კახა ბუცხრიკიძე, 5. რამინი რობაქიძე, 6. თამარ ახვლედიანი, 7. ფრიდონ გვენეტაძე, 8. დავით ცხადაძე, 9. ნატალია ასათიანი, 10. კობა კირკიტაძე, 11. მერაბი ბასილაძე, 12. ივანე ჩუბინიძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 18 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 17 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 17 15 სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282236241, 28.12.2022 წ.).

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების ზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა 143.2 ათასი ლარით გაიზარდა და შეადგენს 30178.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 143.2 ათასი ლარით. (დ.ღ.გ 143.2 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 35.0 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება (საქონელი და მომსახურეობა).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 178.3 ათასი ლარით, საკრებულოს დაფინანსება გაიხაედა 1.5 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება გაიზარდა 35.0 ათასი ლარით. სამხედრო არრიცხვის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 2.8 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 3.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 88.0 ათასი ლარით. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირება გაიზარდა 6.5 ათასი ლარით. თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 13.7 ათასი ლარით.თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირება გაიზარდა 5.5 ათასი ლარით; სახელოვნებო სკოლების სუბსიდირება გაიზარდა 6.5 ათასი ლარით; ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 4.0 ათასი ლარით. კულტურის სახლის დაფინანსება

გაიზარდა 7.0 ათასი ლარით; მუზეუმების დაფინანსება გაიზარდა 1.5 ათასი ლარით; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 3.3 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №30, 28.12.2022 წ).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი